

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და რუმინეთის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

საქართველოს მთავრობა და რუმინეთის მთავრობა, შემდგომში „ხელმოწერ მხარეებად“ წოდებულნი, სურთ რა ხელი შეუწყონ ურთიერთსასარგებლო სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას იმ მიზნით, რომ გაადვილონ და მოაწესრიგონ ორ ქვეყანას შორის მგზავრთა და გვირთის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლა და გრანზიტი მათი ტერიტორიების გავლით თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 გამოყენების სფერო

1. ამ შეთანხმების დებულებები ვრცელდება მგზავრთა და გვირთის გრანსპორტირებაზე იმ საგრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც რეგისტრირებულია ამ ორი ქვეყნიდან ერთ-ერთის ტერიტორიაზე, საქართველოს და რუმინეთის შორის პირდაპირი მოძრაობით, გრანზიტით მათი ტერიტორიის გავლით, ასევე, მესამე ქვეყნებში ან ქვეყნებიდან გრანსპორტირებაზე.

2. ეს შეთანხმება გავლენას არ ახდენს ხელმოწერი მხარეების იმ უფლებებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც გამომდინარეობს ხელმოწერი მხარისათვის ძალაში მყოფი სხვა ორმხრივი თუ მრავალმხრივი შეთანხმებების დებულებებიდან მგზავრთა და გვირთის საერთაშორისო გრანსპორტირების შესახებ.

მუხლი 2 განსაზღვრებანი

ამ შეთანხმების მიზნისათვის:

- ტერმინი „გადამზიდი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც გააჩნია მოქმედი ხელმძღვანელობით შტაბ-ბინა რუმინეთი ან საქართველოში, რომელიც იმ ქვეყნის ეროვნული კანონების შესაბამისად, სადაც საგრანსპორტო საშუალება არის რეგისტრირებული, უფლებამოსილია განახორციელოს მგზავრთა და გვირთის საერთაშორისო საავტომობილო გრანსპორტირება დამკვეთის ან საკუთარი ხარჯით.

- ტერმინი „საგრანსპორტო საშუალება“ ნიშნავს საავტომობილო გრანსპორტის ნებისმიერ საშუალებას, რომელიც მოძრაობს მექანიკურად, შექმნილია და გამოიყენება არანაკლებ 9 ადამიანის გადასაყვანად, მძლოლის ჩათვლით, ან გვირთის გადასაზიდად და რომელიც რეგისტრირებულია ამ ორი ქვეყნიდან ერთ-ერთის ტერიტორიაზე.

ასევე საგრანსპორტო საშუალებად ითვლება ის ერთობლიობა, რომელიც შედგება საგვირთო ავტომობილისაგან, საწვეარისა და მისაბმელის ან ნახევარმისაბმელისაგან, ის

საგვირთო ავტომობილი და საწვეარი, რომელიც რეგისტრირებულია ერთ-ერთი ხელმომწერი მხარის ტერიტორიაზე. მისაბმელი ან ნახევარმისაბმელი შეიძლება იყოს ან არ იყოს რეგისტრირებული იმავე ქვეყანაში.

- გერმინი „ნებართვა“ ნიშნავს დოკუმენტს, რომელიც გაცემულია ბაჟისაგან გათავისუფლების ან არაგათავისუფლებისათვის თითოეული ხელმომწერი მხარის კანონმდებლურ აქტების შესაბამისად, და რომელიც მისი ძალაში ყოფნის პერიოდში, გვირთის გრანსპორტირებისას, გადაამზიდს უფლებას აძლევს იმოძრაოს მხოლოდ ორი მიმართულებით (დაბრუნებით), პირდაპირი მოძრაობით ან გრანზიტით მეორე ხელმომწერი მხარის ტერიტორიის გავლით: მგზავრთა გრანსპორტირებისას, რომელიც მე –4 მუხლშია აღნიშნული ნებართვა გადაამზიდს უფლებას აძლევს მოახდინოს გრანსპორტირება განსაზღვრულ ვადაში.

- გერმინი „ქვოტა“ ნიშნავს თითოეული ხელმომწერი მხარის კომპეტენტურ ორგანოთა მიერ ყოველწლიურად გაცემული ნებართვების რაოდენობას.

- გერმინი „მგზავრთა რეგულარული გრანსპორტირების ნებართვა“ ნიშნავს ერთ-ერთი ხელმომწერი მხარის კანონმდებლურ აქტების შესაბამისად გაცემული ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც გადაამზიდს უფლებას აძლევს დროის განსაზღვრულ პერიოდში განახორციელოს მგზავრთა რეგულარული გრანსპორტირება, პირდაპირი მოძრაობით ან გრანზიტით ამ ორი ხელმომწერი მხარის ტერიტორიის გავლით.

- გერმინი „ხელმომწერი მხარის ტერიტორია“ ნიშნავს საქართველოს ტერიტორიას ან რუმინეთის ტერიტორიას.

მგზავრთა გადაყვანა მუხლი 3 რეგულარული გრანსპორტირება

1. ხელმომწერი მხარის კომპეტენტური ორგანოები წინასწარ გაცვლიან წინადადებებს ამგვარი გადაყვანების შესახებ.

ეს წინადადებები შეიცავენ მონაცემებს, რომელიც შეეხება გადაამზიდის სახელს (კომპანია), მარშრუტი, განრიგი, ტარიფებს, ადგილებს, სადაც გადაამზიდი შეჩერდება და ჩასვამს და გადმოსვამს მგზავრებს, ასევე გრანსპორტირების განსაზღვრულ დროსა და რეგულარობას (სიხშირეს).

2. რეგულარული გრანსპორტირება ნებადართული უნდა იქნას თითოეული ხელმომწერი მხარის კომპეტენტურ ორგანოთა მიერ, მათი ეროვნული კანონების დებულებების შესაბამისად და საგრანზიტო ქვეყნებთან შეთანხმების საფუძველზე, მათ შესაბამის ტერიტორიაზე მდებარე მარშრუტებისათვის.

3. განაცხადი მგზავრთა რეგულარული გრანსპორტირების ნებართვისათვის უნდა გადაეცეს იმ ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს, სადაც საგრანსპორტო საშუალება არის რეგისტრირებული, რომელსაც გააჩნია უფლება მიიღოს ან არ მიიღოს იგი. იმ შემთხვევაში, როცა განაცხადი არ იწვევს უარყოფას, მაშინ ეს კომპეტენტური ორგანო უგზავნის მას შემოწმებისათვის მეორე ხელმომწერი მხარის კომპეტენტურ ორგანოს გრანზიტისათვის საჭირო პირობების შეთანხმებასთან ერთად.

განაცხადის შინაარსი, ასევე, საავტობუსო ხაზების მოქმედების პირობები შეთანხმებული იქნება ამ შეთანხმების მე –15 მუხლით გათვალისწინებული ერთობლივი კომიტეტის შესვედრაზე.

მუხლი 4

არარეგულარული გრანსპორტი

1. მგზავრთა არარეგულარული გრანსპორტირება იმისაგან განსხვავებით, როგორც ეს ხდება რეგულარულ ხაზებზე, შეიძლება განხორციელდეს რომელიმე ხელმომწერი მხარის გადამზიდების მიერ, მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აქვს მეორე ხელმომწერი მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ წინასწარ გაცემული ნებართვა, რომელიც მას ნებას რთავს გრანსპორტირებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც მოყვანილია მე-5 მუხლში.

2. საგრანსპორტო საშუალების უკან დაბრუნების დროს, რომელმაც მოახდინა მგზავრთა გრანსპორტირება, არ უნდა მოხდეს იმ მგზავრების გადაყვანა, რომლებიც არ არიან აღნიშნულნი ამ საგრანსპორტო საშუალებით გადაყვანილ მგზავრთა სიაში.

3. მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით ნებართვის მიღებისათვის გაცემულ განაცხადებს უნდა მოჰყვეს იგივე პროცედურები, რომლებიც ითვალისწინებენ ამ შეთანხმების მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

განცხადების შინაარსი შეთანხმებული იქნება ერთობლივი კომიტეტის შეხვედრაზე, რომელსაც ითვალისწინებს ამ შეთანხმების მე-15 მუხლი.

მუხლი 5

ნებართვის მოთხოვნებისაგან გათავისუფლებული გრანსპორტირებები

მგზავრთა გრანსპორტირებები, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან ნებართვის მოთხოვნებისაგან პირდაპირი მოძრაობის ან გრანზიტიის დროს, ხორციელდება მგზავრთა სიის შესაბამისად და არის შემდეგი სახის:

1. არარეგულარული გრანსპორტირება ერთი და იგივე პირებისა, ერთი და იმავე საგრანსპორტო საშუალებით მთელი მოგზაურობის დროს, გასვლისა და შესვლის პუნქტების საგრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ქვეყანაში არსებობა, არცერთი მგზავრის აყვანა ან ჩამოსმა გზაზე ან გაჩერებებზე შესაბამისი ხელმომწერი მხარის გარეთ („დახურული კარებით მოგზაურობა“).

2. პირთა ჯგუფების არარეგულარული გრანსპორტირება საგრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ქვეყანაში მდებარე პუნქტიდან მეორე ხელმომწერი მხარის ტერიტორიაზე მდებარე პუნქტამდე, საგრანსპორტო საშუალება ამ ტერიტორიას გოვებს ცარიელი.

3. სამგზავრო საგრანსპორტო საშუალების მოძრაობა, იმ საგრანსპორტო საშუალების შესაცვლელად, რომელიც მომსახურებისათვის უვარგისი გახდა.

ტვირთის გადაზიდვა

მუხლი 6

მგზავრობის ნებართვები

1. ორი ხელმომწერი მხარის ტერიტორიებს შორის დატვირთული ან ცარიელი სატვირთო საგრანსპორტო საშუალებებით გრანსპორტირება, პირდაპირი მოძრაობით ან გრანზიტიით ხორციელდება ნებართვების საფუძველზე, რომლისგანაც მე-7 მუხლში აღნიშნული გრანსპორტირება თავისუფლდება

2. ნებართვა საგრანსპორტო საშუალებაზე და გადაზიდვის სახელზე გაიცემა იმ ხელმომწერი მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ, სადაც საგრანსპორტო საშუალება არის რეგისტრირებული ნებართვა არ ექვემდებარება გადაცემას და არ შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა გადაზიდვის ან სხვა საგრანსპორტო საშუალების მიერ.

3. ნებართვა გადაზიდვს უფლებას აძლევს დაბრუნების დროს დაგვირთოს გვირთი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, თუკი ეს გვირთი განკუთვნილია ამ საგრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ქვეყნისათვის.

4. ხელმომწერი მხარეების კომპეტენტური ორგანოები ურთიერთთანხმებენ ნებართვების ტიპსა და რაოდენობას.

მუხლი 7

გრანსპორტირება, რომელიც არ საჭიროებს ნებართვას

1. ხელმომწერი მხარეების ტერიტორიაზე, პირდაპირი მოძრაობით ან გრანზიტით, საგრანსპორტო საშუალებების მიერ გვირთის გადაზიდვა უნდა ემყარებოდეს კომპეტენტურ ორგანოთა მიერ ქვოტის საფუძველზე წინასწარ გაცემულ ნებართვას, გარდა შემთხვევებისა, რომლებიც ქვემოთ არის განსაზღვრული:

a) ცარიელი საგრანსპორტო საშუალებები, რომლებიც განკუთვნილია დაზიანებული ან დამტვრეული საგრანსპორტო საშუალებების შეცვლისათვის, ბუქსირებისათვის ან შეკეთებისათვის;

b) მიცვალებულის გადაყვანა;

c) ბაზრობების, გამოფენებისა და კულტურული სანახაობებისათვის განკუთვნილი საგნებისა და მხატვრული ნამუშევრების გრანსპორტირება;

d) სარეკლამო საგნებისა და მოწყობილობების გრანსპორტირება;

e) საოჯახო ქონების გრანსპორტირება;

f) თეატრალური, მუსიკალური, კინოსა და სპორტული სანახაობებისათვის, ცირკისათვის ან ბაზრობებისა და გამოფენებისათვის საჭირო მანქანების, აქსესუარების ან ცხოველების გრანსპორტირება, ასევე, რადიო-საგელევიზიო გადაცემებისა და ფილმებისათვის განკუთვნილი ქონების გრანსპორტირება;

g) სამედიცინო მოწყობილობის გრანსპორტირება უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, განსაკუთრებით სტიქიური უბედურებების დროსა და გვირთისა და ამანათების გაგზავნა ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;

h) საავტომობილო საგრანსპორტო საშუალებებით გვირთის გადაზიდვა, რომლის დაგვირთვის დასაშვები წონა მისაბმელების ჩათვლით არ აღემატება ექვს (6) ტონას ან რომლის დასაშვები სასარგებლო დაგვირთვა მისაბმელის ჩათვლით არ აღემატება 3.5 ტონას;

i) ფოსტის გადაზიდვა, როგორც სახელმწიფო მომსახურება.

2. ერთობლივ კომიტეტს მე-15 მუხლის თანახმად სრული უფლება აქვს გააკეთოს დამატებები 1-ლი პუნქტის მიმართ.

ზოგადი დებულებანი

მუხლი 8

გრანსპორტირება მესამე ქვეყნიდან ან მესამე ქვეყანაში

გადაამზიღებს, რომლებიც რომელიმე ხელმომწერი მხარის მიერ უფლებამოსილნი არიან მე-2 მუხლის დებულების შესაბამისად, შეუძლიათ აწარმოონ გვირთის გრანსპორტირება მეორე ხელმომწერი მხარის გერიგორიასა და მესამე ქვეყანას შორის, ასევე, მესამე ქვეყნიდან მეორე ხელმომწერი მხარის გერიგორიაზე, მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ ურთიერთგების საფუძველზე ამ ხელმომწერი მხარის კომპეტენტური ორგანოსაგან მიიღეს ნებართვა.

მუხლი 9

საგრანსპორტო საშუალებათა წონა და განზომილებები

1. თუ საგრანსპორტო საშუალების წონა, განზომილებები ან დაგვირთვა ღერძზე აჭარბებს ერთი ხელმომწერი მხარის გერიგორიაზე არსებულ მაქსიმალურ საზღვრებს, მაშინ საგრანსპორტო საშუალება უბრუნველყოფილ უნდა იქნას ამ ხელმომწერი მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული სპეციალური ნებართვით.

თუკი ეს ნებართვა მდუღავს საგრანსპორტო საშუალების მოძრაობას განსაზღვრული მარშრუტით, მაშინ გრანსპორტირება განხორციელდება მხოლოდ ამ მარშრუტის დაცვით.

2. სპეციალური ნებართვა არ გამოიცხადვს ნებართვას, რომელიც განსაზღვრულია ამ შეთანხმების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით.

მუხლი 10

საშიში გვირთის გრანსპორტირება

1. საშიში გვირთის გრანსპორტირება თითოეული ხელმომწერი მხარის გერიგორიაზე ნებადართულია მისი ეროვნული კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

2. იმ შემთხვევაში, თუ საშიში გვირთის გრანსპორტირება მოითხოვს სპეციალურ ნებართვას, მაშინ გადაამზიდი მას მიიღებს მეორე ხელმომწერი მხარის კომპეტენტური ორგანოსაგან.

მუხლი 11

სხვა ქვეყნის გერიგორიაზე გრანსპორტირება

როგორც ამ შეთანხმების მე-2 მუხლშია აღნიშნული, რომელიმე ხელმომწერი მხარის გადაამზიღები არ არიან უფლებამოსილნი აწარმოონ მგზავრთა ან გვირთის გრანსპორტირება მეორე ხელმომწერი მხარის გერიგორიის ორ პუნქტს შორის.

მუხლი 12

საბუთების კონტროლი

1. ხელმომწერი მხარეების კომპეტენტური ორგანოები შეათანხმებენ ამ შეთანხმების დებულებების თანახმად განხორციელებული გრანსპორტირების კონტროლის გზებს.

2. საერთაშორისო გრანსპორტირებისათვის საჭირო საბუთები უნდა ინახებოდეს შესაბამის საგრანსპორტო საშუალებებში და წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული ხელმომწერი მხარის უფლებამოსილ ორგანოთა მოთხოვნის საფუძველზე.

3. რომელიმე ხელმომწერი მხარის გერიგორიაზე რეგისტრირებული საგრანსპორტო საშუალებების მძღოლებს, რომლებიც მეორე ხელმომწერი მხარის გერიგორიის გავლით აწარმოებენ საერთაშორისო გრანსპორტირებას, უნდა ჰქონდეთ ეროვნული და საერთაშორისო

ლიცენზია, ეროვნული სერტიფიკატი შესაბამისი საგრანსპორტო საშუალებისათვის და ერთობლივი კომიტეტის მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა საბუთები.

მუხლი 13 **საბაჟო დებულებები**

1. ერთი ხელმოწერი მხარის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საგრანსპორტო საშუალებები, ასევე მისაბმელები, რომლებიც გამოიყენება ამ შეთანხმებაში აღნიშნული ტრანსპორტირებისათვის, მეორე ხელმოწერი მხარის ტერიტორიაზე ღრობით დაიშვება იმპორტზე გადასახადის გარეშე, იმ პირობით თუ საგრანსპორტო საშუალება დაბრუნდება იმ ქვეყანაში, საიდანაც ღრობით იყვნენ ჩამოსული (რეექსპორტირებისათვის).

ანალოგიური პირობები არის გათვალისწინებული სათადარიგო ნაწილებისათვის, ასევე საგრანსპორტო საშუალებების დამატებითი მოწყობილობებისა და ტრანსპორტირების წარმართვისათვის საჭირო ჩვეულებრივი მოწყობილობებისათვისაც, რომლებიც იმპორტირებულია აღნიშნული საგრანსპორტო საშუალებებით და რეექსპორტირებული იგივე საგრანსპორტო საშუალებებით.

2. საწვავი და საპოხი მასალები, რომელსაც შეიცავს საგრანსპორტო საშუალების მწარმოებლის მიერ ნორმით გათვალისწინებული საწვავის ავზები და რომლებიც გამოიყენება მოძრაობისათვის, და, არსებობის შემთხვევაში, სამაცივრო მოწყობილობების ფუნქციონირებისათვის, თავისუფლდება იმპორტზე დაწესებული საბაჟო გადასახადებისაგან და არ ექვემდებარება იმპორტზე არსებულ რაიმე შემლუღვისა და აკრძალვის ღონისძიებებს.

3. სათადარიგო ნაწილები, რომლებიც იმპორტირებულია ხელმოწერი მხარის იმ საგრანსპორტო საშუალების შეკეთების მიზნით, რომელიც მეორე ხელმოწერი მხარის ტერიტორიაზე უკვე ღრობით იყო დაშვებული, გათავისუფლებული იქნებიან ყოველგვარი საბაჟო გადასახადებისაგან და არ დაექვემდებარებიან მათ იმპორტზე არსებულ რაიმე შემლუღვისა და აკრძალვის ღონისძიებებს.

შეცვლილი ან გამოუყენებული ნაწილები უნდა იქნეს ან რეექსპორტირებული ან განადგურებული საბაჟო ორგანოების მეთვალყურეობის ქვეშ.

4. საბაჟო და სასამღვრო პოლიციის კონტროლი, ასევე სანიტარული და ფიტოსანიტარული კონტროლი ხორციელდება რომელიმე ხელმოწერი მხარის სასამღვრო გასასვლელებზე ეროვნული კანონმდებლობისა და ასევე იმ საერთაშორისო კონვენციების დებულებების თანახმად, რომლის მონაწილეც არის ორივე ქვეყანა.

მუხლი 14 **კომპეტენტური ორგანოები**

კომპეტენტური ორგანოები, რომლებიც ასრულებენ ამ შეთანხმებას არიან ტრანსპორტის მიმართ პასუხისმგებელი ორგანოები, სახელდობრ:

- საქართველოსათვის: საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი.

- რუმინეთისათვის: ტრანსპორტის სამინისტრო.

ხელმოწერი მხარეები ერთმანეთს აცნობებენ შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს დასახელებაში ნებისმიერ ცვლილებას.

მუხლი 15 **ერთობლივი კომიტეტი**

1. ამ შეთანხმების განმარტების შედეგად წამოჭრილი საკითხების შემოწმებისა და გადაწყვეტის მიზნით, შეიქმნება ერთობლივი კომიტეტი, რომელიც შედგება ორივე ხელმომწერი მხარის კომპეტენტურ ორგანოთა წარმომადგენლებისაგან.

2. ერთობლივი კომიტეტი შეიკრიბება მონაცვლეობით თითოეული ხელმომწერი მხარის ტერიტორიაზე, ერთ-ერთი კომპეტენტური ორგანოს თხოვნის საფუძველზე.

მუხლი 16 **ასაკრებლები და გადასახადები**

1. ერთ-ერთი ხელმომწერი მხარის საგრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ახორციელებენ გრანსპორტირებას ამ შეთანხმების დებულებების შესაბამისად, გათავისუფლებიან ყველანაირი გადასახადებისაგან, რომლითაც იბეგრება საგრანსპორტო საშუალებების მოძრაობა, ასევე, ყველა სპეციალური გადასახადებისაგან, რომლითაც იბეგრება გრანსპორტირების წარმართვა მეორე ხელმომწერი მხარის ტერიტორიაზე, ამ ხელმომწერი მხარის ტერიტორიაზე მოქმედი ეროვნული კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

2. მე-15 მუხლით განსაზღვრული ერთობლივი კომიტეტი ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე დააწესებენ ნებართვის ქვოტებს, საგზაო გადასახადებისაგან გათავისუფლებით ან არგათავისუფლებით.

3. ამ შეთანხმების გამოყენებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის გადახდები უნდა განხორციელდეს კონვერტირებად ვალუტაში. იმ შემთხვევაში, თუ ხელმომწერი მხარეების მიერ დადებული იქნება შეთანხმება ანგარიშსწორების შესახებ, მაშინ გამოიყენება მისი დებულებები.

4. საერთაშორისო მიმოსვლაში საგრანსპორტო საშუალებების ფუნქციონირებიდან, ასევე, მათ ექსლუაგაციასთან დაკავშირებული გადაადგილებადი საგნების გამოყენებიდან მიღებული მოგებები, იბეგრება იმ ქვეყანაში, სადაც საგრანსპორტო საწარმოს მოქმედი ხელმძღვანელობა იმყოფება. იმ შემთხვევაში, თუ ხელმომწერი მხარეებს შორის დაიდება შეთანხმება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ, მაშინ გამოიყენება მის დებულებები.

მუხლი 17 **ეროვნული კანონების შესრულება**

გადაამზიდები და ერთი ხელმომწერი მხარის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საგრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟი დაექვემდებარებიან იმ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს, რომლებიც მართავენ მეორე ხელმომწერი მხარის საგზაო მოძრაობას.

გრანსპორტირებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი საკითხები, რომლებსაც არ ითვალისწინებს ეს შეთანხმება, დაექვემდებარებიან ხელმომწერი მხარის ტერიტორიაზე მოქმედ კანონებს, კანონქვემდებარე აქტებს და წესებს.

მუხლი 18 **სანქციები**

1. იმ შემთხვევაში, თუ ერთი ხელმოწერი მხარის გადამზიდა ან საგრანსპორტო საშუალების პერსონალმა არ დაიცვა მეორე ხელმოწერი მხარის ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობა, ამ შეთანხმების დებულებები ან პირობები, რომელიც მოყვანილია ნებართვაში, მაშინ იმ ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს, სადაც საგრანსპორტო საშუალება რეგისტრირებული, მეორე ხელმოწერი მხარის კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნით შეუძლია მიიღოს შემდეგი ზომები:

a) გააფრთხილოს გადამზიდი, რომელმაც მოახდინა დარღვევა, იმ პირობით, რომ სხვა დარღვევის შემთხვევაში გადამზიდვის ნებართვა გაუქმებული იქნება დროის განსაზღვრული პერიოდით ან ანულირებული იქნება ამ შეთანხმების b) პუნქტის შესაბამისად.

b) ანულირება გაუკეთოს ან უკან გამოითხოვოს ნებართვა, რომელიც უფლებას აძლევს გადამზიდს აწარმოოს ტრანსპორტირება იმ ხელმოწერი მხარის ტერიტორიაზე, სადაც მოხდა დარღვევა.

2. იმ კომპეტენტურმა ორგანომ, რომელმაც მიიღო ასეთი ზომა, უნდა აცნობოს მეორე ხელმოწერი მხარის კომპეტენტურ ორგანოს ამის შესახებ.

3. ამ მუხლის დებულებები არ გამოირიცხავს იმ კანონიერ სანქციებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ ქვეყნის სასამართლოების ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, სადაც მოხდა დარღვევა.

მუხლი 19

დავა

ნებისმიერი დავა, რომელიც ეხება ამ შეთანხმების განმარტებას ან გამოყენებას, გადაწყდება ორივე ხელმოწერი მხარის კომპეტენტურ ორგანოთა შორის პირდაპირი მოლაპარაკებების გზით.

იმ შემთხვევაში, თუ ეს კომპეტენტური ორგანოები ვერ აღწევენ ურთიერთგაგებას, მაშინ დავა გადაიჭრება დიპლომატიური არხების მეშვეობით.

მუხლი 20

შეთანხმების ძალაში შესვლა, შესწორებები და მოქმედების შეწყვეტა

1. ეს შეთანხმება ძალაში შევა იმ დღიდან, როდესაც ორივე ხელმოწერი მხარე შეაგყობინებს ერთმანეთს მათი ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმალობების შესრულებას, რომელიც ეხება საერთაშორისო შეთანხმებების ძალაში შესვლის პროცედურებს.

2. ამ შეთანხმებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის შესწორებები შეთანხმდება ხელმოწერი მხარეების მიერ და ძალაში შევა იმ პროცედურების შესაბამისად, რომელიც აღნიშნულია ამ მუხლის 1-ლ პუნქტში.

3. ეს შეთანხმება დადებულია სამი წლის ვადით და ავტომატურად გაგრძელდება ახალი სამი (3) წლის ვადით, თუ ერთ-ერთი ხელმოწერი მხარის წერილობითი შეტყობინებით იგი არ არის დენონსირებულში ამ შეთანხმების მოქმედების შეწყვეტამდე არანაკლებ 90 დღით ადრე.

ხელმოწერილია ქ. თბილისში 1996 წლის 26 მარტს, ორ პირად ქართულ, რუმინულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს გააჩნია თანაბარი ძალა. განმარტების დროს, ნებისმიერი ამრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს მთავრობის
სახელით

რუმინეთის მთავრობის
სახელით